საჩივრის შევსების ინსტრუქცია

მოსამართლის მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ინსტრუქციას, რომელიც შედგენილია იმავე თანმიმდევრობით, ნუმერაციითა და დასახელებით, როგორც საჩივრის ფორმა.

- ✓ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე http://hcoj.gov.ge.
- ✓ ფორმაში გამოყენებულია შრიფტი: Sylfaen-ი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნომერზე +995 32 227-31-00 (შიდა 122 ან 229) ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (http://hcoj.gov.ge).

1. საჩივრის ავტორი

საჩივრის ავტორის საიდენტიფიკაციო მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) მითითება აუცილებელია. ორი ან მეტი საჩივრის ავტორის მითითებისას, თითოეული მათგანის მონაცემები, უნდა დაიწეროს და დაინომროს თანმიმდევრობით. საკონტაქტო მონაცემების (ძირითადი და ფაქტობრივი მისამართი, სახლის ტელეფონი, მობილურის ნომერი და ელექტრონული ფოსტა) მითითება არ არის სავალდებულო, თუმცა აღნიშნული ინფორმაციის მითითება ხელს შეუწყობს საჭიროების შემთხვევაში საჩივრის ავტორთან დროულად დაკავშირებას.

2. მოსამართლე

მოსამართლის სახელის, გვარის და საქმის ნომრის (თუ საჩივარი შეეხება კონკრეტულ საქმეს) მითითება სავალდებულოა. ორი ან მეტი მოსამართლის მითითებისას, თითოეულ მათგანზე მონაცემები უნდა დაიწეროს და დაინომროს თანმიმდევრულად. საქმის განმხილველი სასამართლოს მითითება არ არის სავალდებულო, მაგრამ ხელს შეუწყობს კონკრეტული საქმის მასალების დროულად მოძიებას.

3. დისციპლინური გადაცდომის სახე

დისციპლინური გადაცდომის სახის მითითებისას, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გადაცდომის სახე უშუალოდ საჩივრის შინაარსიდან უნდა მომდინარეობდეს.

4. საჩივრის არსის მოკლე მიმოხილვა

საქმის არსის მოკლე მიმოხილვა წარმოადგენს დისციპლინური გადაცდომის მაქსიმალურად კონკრეტულ და ლაკონურ აღწერას. ამასთან, რამდენიმე საქმეზე ერთდროულად მსჯელობისას მითითებული უნდა იყოს თითოეულის რეკვიზიტები.

5. ქმედება, რაშიც გამოიხატა მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა

წინამდებარე გრაფა წარმოადგენს „საქმის არსის მოკლე მიმოხილვის“ ერთგვარ რეზიუმეს, სადაც პუნქტობრივად მიეთითება მხოლოდ იმ კონკრეტულ ქმედებებზე და გარემოებებზე, რომლებიც საჩივრის ავტორის აზრით არის მნიშვნელოვანი და მიუთითებს მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაზე. არ უნდა მიეთითოს იმ ქმედებებსა და გარემოებებზე, რომლებიც კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენასთან არ არის დაკავშირებული. ასეთ ქმედებებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი მხედველობაში არ მიიღებს. ქმედებები მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრობით. ქმედებების მითითება, რაშიც გამოიხატა მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, სავალდებულოა. მოცემულ ფორმაში არსებობს სამი ქმედების დასაფიქსირებელი გრაფა, მაგრამ სამზე მეტი ქმედების მითითებისას უნდა იქნეს დაცული აღნიშნული მითითების სტანდარტი. გადაცდომის შესაძლო შემთხვევების ნამდვილობა დასტურდება მტკიცებულებ(ებ)ით. თითოეული ქმედების დასადასტურებლად უნდა იყოს მითითებული საჩივრის ავტორისთვის ცნობილ ყველა მტკიცებულებაზე. ამასთან, საჩივრის ავტორი უფლებამოსილია მის ხელთ არსებული მტკიცებულებები დაურთოს საჩივარს და მიუთითოს დანართის სახით. მტკიცებულებების ჩამონათვალი ერთმანეთისაგან გამოიყოფა აბზაცით და ინომრება თანმიმდევრულად.

6. საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები

სამართლებრივი საფუძვლების მითითება სავალდებულო არ არის, თუმცა სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია ფაქტებისა და მტკიცებულებების სამართლებრივად დასაბუთება. საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები ნათლად და ლაკონურად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, სათითაოდ (პუნქტობრივად) უნდა იყოს მითითებული და თანმიმდევრობით დანომრილი.

7. თანდართული საბუთების ნუსხა

საჩივარი და თანდართული საბუთები (მტკიცებულებები) წარმოდგენილი უნდა იყოს სამართალწარმოების ენაზე. თანდართული საბუთების ნუსხა მიეთითება სათითაოდ (პუნქტობრივად) და ინომრება თანმიმდევრულად. თითოეულის გასწვრივ უნდა მიეთითოს ფურცლების რაოდენობა, ხოლო ნუსხის დასრულების შემდეგ - ფურცლების საერთო რაოდენობა. თითოეულ თანდართულ საბუთს უნდა ეწეროს დანართის ნომერი, რომელიც უნდა ემთხვეოდეს საჩივრის ფორმაში დაფიქსირებულ რიგითობას.